

სს მისო ნიკე პრეზიდიტი  
უნაცხური ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს მისო ნიკა პრეზიდენტი  
ფინანსური ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისათვის  
თანხმის მოცემულია ლარში

---

შინაარჩინი

<u>მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა</u>	1
<u>დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა</u>	2
<u>ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება</u>	4
<u>სრული შემოსავლების ანგარიშგება</u>	5
<u>ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება</u>	6
<u>კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება</u>	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
<u>1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა</u>	8
<u>2 კომპანიის საოპერაციო გარემო</u>	8
<u>3 მომზადების საფუძვლები</u>	8
<u>4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა</u>	9
<u>5 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები</u>	13
<u>6 ფული და ფულის ეკვივალენტები</u>	13
<u>7 გაცემული სესხები</u>	14
<u>8 ძირითადი საშუალებები</u>	15
<u>9 არამატერიალური აქტივები</u>	15
<u>10 გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები</u>	15
<u>11 მიღებული სესხები</u>	16
<u>12 საქციო კაპიტალი</u>	16
<u>13 საოპერაციო და აღმინისტრაციული ხარჯები</u>	16
<u>14 ფინანსური რისკების მართვა</u>	17
<u>15 ფინანსური აქტივები და ვალდებულებები</u>	19
<u>16 დაგაუშირებული მსარეები</u>	21
<u>17 პირობითი ვალდებულებები</u>	22
<u>18 საწარმოს უწყვეტობის განხილვა</u>	22
<u>19 საანგარიშებო პერიოდის შემდგომი მოვლენები</u>	22

სს მისო ნიკე პრეზიდი  
ფინანსური აცხარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისათვის  
თანხმის მოცემულია ლარში

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიკე ქრედიტის ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური ალრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტ ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეისაბამოს არ ხდის ამ დაშვებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

მამუკა ლალანიძე

ირაკლი ქაცარიძე

აღმასრულებელი დირექტორი

ბუღალტერი

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიკე ქრედიტი

თარიღი: 28 მაისი, 2018

n. ქაცარიძე

ქ. ლალანიძე



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა  
სს მისო ნიკე კრედიტის მენეჯმენტის

#### პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ნიკე კრედიტის ("შემდგომში „კომპანია“") თანდართული ფინანსური ანგარიშების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგრმარეობის ანგარიშების 2017 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით, აგრეთვე სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სასსრების მოძრაობის ანგარიშებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნულ თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სწავა ასწარმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი ასრით, გარდა "პირობითი მოსაზრების საფუძველი" ამზაცში განხილული საკითხებისა, თანდართული ფინანსური ანგარიშებია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლინაგა ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგრმარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სასსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცუმული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

#### პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია ბოლო წლების განმავლობაში განიცდის მნიშვნელოვან საოპერაციო ზარალებს (2017 წელის 21,613 ლარი და 2016 წელი - 157,761 ლარი).

ამასთან როგორც განხილულია ფინანსური ანგარიშების მე-19 შენიშვნაში, 2017 წლის დეკემბერში საკანონმდებლო ცეკვილებების თანახმად მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვალიდული არიან 2018 წლის 1 სექტემბრამდე გაზარდონ განაღებული კაპიტალი 500,000 ლარამდე, ხოლო 2019 წლის 1 ივლისამდე 1,000,000 ლარამდე. კომპანიის ხელმძღვანელობა და დამფუძნებელი მიმდინარე თარიღისათვის განიხილავენ აღნიშნული ინვესტიციის მოზიდვის და განხორციელების შესაძლებლობას/მიზანშეწონილობას.

ზემოაღნიშნული მოვლენები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძის, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში აღეკვატურად არ არის განმარტებული ეს საკითხი.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ას-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პრიფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალიდულებიც. გვკერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საჭიროისა და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

#### მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებების

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშების მიმზადებასა და სამართლის წარდგნაზე ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იყო აუცილებლად მიზნებს ისეთი ფინანსური ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას მენეჯმენტს უვალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრიციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტის განრჩაზღული აქციების კომპანიის ღიავიდებია ან სამსინობის შეწყვეტა, ან თუ არა აქციების სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

ჩვენი მიზანია, მოვიძოვთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშებია არ შეიცავს არსებით უზუსტობისას, მათ შორის გამოწვეულის თაღლითობით ან შეცდომით, და გავცევ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენის მოსახრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი ღინის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოვლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობისა. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული ფილის თაღლითობით ან შეცდომით და არსებობად მიმჩნევა თუგებობრივი ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალები ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშების გამოყენების საფუძვლზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიკიზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

• ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული, ფინანსური ანგარიშების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვეგამავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზიზულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიძოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომელიც საკარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსახრების გამოიტმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობებს ფარგლებში შეიანგებას, გაფალებას, ოპერაციების განზრაპ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრაპულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერის აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსახრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის უფრეტიანობაზე.

• ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

• დასკნა გამოგაეცს მენეჯმენტის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რამე მოვლენებოთან ან პირობებითან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვებ გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავისკვით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევლება ჩვენს აუდიტორის დასკვინი ფრადლების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეცვატური არ არის - ჩვენი მოსახრების მოაღიარება. ჩვენი დასკნები ეყრდნობა აუდიტორის დასკნის თარიღიდან მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგრინი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება თრგანიშაცა უკვე აღარ იყოს ფანჯრითირიად საწარმო.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მოღვაწობაში, მის სტრუქტურას, მის შინარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული იპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვათან ერთად, ვაწევთ ინფორმაციას აუდიტის დაგემოილი მასშტაბისა, ვადგების და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკოხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხედვ აბადაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544  
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 28 მაისი, 2018  
თბილისი, საქართველო



სს მისო ნიკე პრეზიდენტი  
ფინანსური ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისთვის  
თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგრადარღვევის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-ღამ-17	31-ღებ-16
<b>აქტივები</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები	6	8,298	6,276
გაცემული სესხები	7	100,390	121,362
ძირითადი საშეულებები	8	24,808	28,307
არამატერიალური აქტივები	9	819	1,527
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	649	506
სხვა აქტივები		6,639	4,756
<b>სულ აქტივები</b>		<b>141,603</b>	<b>162,734</b>
<b>ვალდებულებები</b>			
მიღებული სესხები	11	38,234	38,234
სხვა ვალდებულებები		363	531
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>38,597</b>	<b>38,765</b>
<b>კაპიტალი</b>			
საქციო კაპიტალი	12	285,715	285,715
გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)		(182,710)	(161,746)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>103,006</b>	<b>123,969</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>141,603</b>	<b>162,734</b>

მამუკა ლალანიძე

აღმასრულებელი დირექტორი

სს მისო ნიკე პრეზიდენტი

თარიღი: 28 მაისი, 2018



ირაკლი ქაცარიძე

ბუღალტერი

n. ქაცარიძე

ქ. ქაცარიძე

სს მისო ნიკე პრეზიდენტი  
ფინანსური ანგარიშგება  
2017 წლის 31 დეკემბრით ჩასრულებული ფლისთვის  
თაცხადი მოცვეულია ლარში

**სრული შემოსავლების ანგარიშგება**

	შენიშვნა	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი		67,394	74,441
საპროცენტო წარჯი		-	-
<b>შენიშვნა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>67,394</b>	<b>74,441</b>
საკომისიო შემოსავალი		1,085	2,786
შემოსავალი ჯარიმებიდან		1,679	1,612
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>70,159</b>	<b>78,839</b>
სესხების გაუფასურების რეზერვიდან მიღებული შემოსავალი / (წარჯი)		(30,584)	(161,225)
ცვეთა და ამორტიზაცია		(4,207)	(4,505)
სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული წარჯები	13	(49,463)	(53,947)
სხვა წარჯები		(10)	(405)
კურსთამირჩის სხვაობით მიღებული მოგება / (წარალი)		(5,136)	21,773
მოგება დაეგვრამდე		(19,242)	(119,470)
მოგების გადასახადის წარჯი		(1,722)	(38,291)
<b>მიმდინარე წლის შენიშვნა მოგება / (წარალი)</b>		<b>(20,964)</b>	<b>(157,761)</b>
სხვა სრული შემოსავლები		-	-
<b>მიმდინარე წლის სრული შემოსავლები</b>		<b>(20,964)</b>	<b>(157,761)</b>

მამუკა ლალანიძე

ირაკლი ქაცარიძე

აღმასრულებელი დირექტორი

ბუდალტერი

სს მისო ნიკე კრედიტი

ა. ჩეჩია

თარიღი: 28 მაისი, 2018



ქ. ლალანიძე

გვერდი

5

სს მისო ნიკე პრეზიდენტი  
ფინანსური აგენტი შემთხვევა  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისათვის  
თანხები მოცემულია ლარში

**ფულადი სახსრების მომრაობის ანგარიშგვება**

2017

2016

მიღებული პროცენტი	44,739	55,958
დაფარული სესხები	112,332	209,091
მიღებული საკომისიო	1,085	2,787
შემოსავალი ჯარიმებიდან	1,679	1,612
გაცემული სესხები	(103,900)	(259,630)
გადახდილი ხარჯები	(8,422)	(5,241)
გადახდილი ხელფასები	(27,390)	(29,090)
გადახდილი გადასახადები	(10,369)	(21,666)
სხვა გასავლები	(7,209)	(12,707)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>2,545</b>	<b>(58,886)</b>
საკურსო სხვაობის შეღები	(524)	(1,607)
<b>წმინდა ფულადის სახსრების ზრდა/(შემცირება)</b>	<b>2,545</b>	<b>(58,886)</b>
ფული და ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	6,276	66,769
<b>ფული და ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს</b>	<b>8,298</b>	<b>6,276</b>

მამუკა ღალანიძე

აღმასრულებელი დირექტორი

სს მისო ნიკე პრეზიდენტი

თარიღი: 28 მაისი, 2018



ირაკლი ქაცარიძე

ბუღალტერი

ა. ქაცარიძე

სს მისო ნიკე პრეზიდენტი  
ფინანსური აგენტიზმება  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისათვის  
თანხები მოცემულია ლაში

**კაპიტალი ცვლილებების ანგარიშგვება**

საქციი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
285,715	(3,985)	281,730
<b>ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით</b>		
2016 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)	(157,761)	(157,761)
285,715	(161,746)	123,969
<b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით</b>		
2017 წლის წმინდა მოგება / (ზარალი)	(20,963)	(20,963)
285,715	(182,709)	103,006
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგრმარეობით</b>		

მამუკა ღალანიძე

აღმასრულებელი დირექტორი

სს მისო ნიკე პრეზიდენტი

თარიღი: 28 მაისი, 2018

ირაკლი ქაცარიძე

ბუღალტერი

ა. ქაცარიძე



ქ. ქაცარიძე

**სს მიკონია გრედიტი  
ფინანსური აგებარიშვილის ახსნა-განვალური შენიშვნები  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისტის  
თანხმის მოცემულია ლარში**

**შენიშვნა 1 კომპანია და მისი ძირითადი საქმიანობა**

სს მიკონიაშვილის ორგანიზაცია ნიკე კრედიტი (შემდგომში მოხსენებული როგორც „კომპანია“) დარეგისტრირდა 2008 წლის 21 ოქტომბერს ქუთაისში, საქართველო. კომპანიის იურიდიული მისამართია ნიკეს ქ. №7a, ქუთაისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ პირებზე მიქრო სესხების გაცემა. კომპანია სესხებს გასცემს ძირითადად უზრუნველყოფის გარეშე. კომპანიის მიერ გაცემული სესხებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგნილია თანხის ზედა ზღვარი, რომელიც შეადგენს ორმოცდათ ათას ლარს ერთ სესხზე. კომპანიას აქვს ერთი სერვის ცენტრი ქუთაისში.

სს მიკონიაშვილის ორგანიზაცია ნიკე კრედიტის დამფუძნებლები არიან:

<b>დამფუძნებლი</b>	<b>31-დეკ-17</b>	<b>31-დეკ-16</b>
გიორგი ხურციძე	72.75%	72.75%
ლუიზა დაღანიძე	12.25%	12.25%
ნაზაბროლა წაქაძე	5.00%	5.00%
ლეილა ხურციძე	5.00%	5.00%
მამუკა დაღანიძე	5.00%	5.00%
<b>100.00%</b>	<b>100.00%</b>	

**შენიშვნა 2 კომპანიის საოპერაციო გარემო**

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. საქართველოში მიკონიაშვილის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. ეს რეგულაციები არც ძალიან და არც შემზღვდავი. ეს რეგულაციები მიიცავს მინიმალური საწესდებო კაპიტალის ფულადი სახით შენატანის განხორციელებას (მინიმუმ 250 ათასი ლარი) და ფინანსური ანგარიშებების წარდგნას ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად. საქართველოში დღესდღეობით მიკონიაშვილის ორგანიზაციებს ექრძალებათ კლიენტებისგან დეპოზიტების მიღება და სესხად 50 ათას ლარზე მეტი თანხის გაცემა (ასევე იხ. შენიშვნა 19).

ისეთი განვითარებადი ეკონომიკები, როგორიც საქართველოშია, ძალიან მგრძნობიარენი არიან ბაზარზე სწრაფი ცვლილებებისა და მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისების მიმართ. შესაბამისად, საქართველოს ბაზარზე ოპერაციების წარმოება ისეთ რისკებთანა დაკავშირებული, რომლებიც არაა დამახსასიათებელი განვითარებული ბაზრებისათვის. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ შეცვალა სამოქალაქო, სისხლის, საგადასახადო, ადმინისტრაციული და სამწარმეო კანონები, რამაც დადებითად იმოქმედა ქვეყნაში საერთო საინვესტიციო გარემოზე. საქართველოს კარგი საერთაშორისო რეპუტაცია აქვს საინვესტიციო გარემოს კუთხით. საერთაშორისო გამჭირვალობის მიერ გამოქვეყნებული 2016 წლის კორუფციის აღმის ინდექსში საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში.

**შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი**

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშებება მომზადდა ფინანსური ანგარიშებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. კომპანია საბუღალტრო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს საბუღალტრო და საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშებება მომზადდა აღნიშნული ბუღალტრული ჩანაწერებიდან და საჭიროებისამებრ შესწორდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო ფინანსური ანგარიშებების საერთაშორისო სტანდარტებითან.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშებება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებებში აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მათი ლიკვიდურობის მიხედვით და არ არის დაყოფილი როგორც მიმდინარე და გრძელვადანი.

### შენიშვნა 3 მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური აგენტობის მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ანგარიშების შედგენის თარიღისათვის არსებულ პირისით აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშებო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებსა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

### შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

#### 4.1 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

კომპანიის ფინანსური აგენტობის დამტკიცების თარიღის გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშების მიმდინარე პერიოდისათვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნააღრევად არ მიუღია. მათგან სავარაუდო შემდეგი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მოახდენს გავლენას კომპანიის ოპერაციებზე. კომპანია გეგმავს, რომ მიიღოს ეს სტანდარტები და ინტერპრეტაციები მათი ძალაში შესვლის მომენტიდან.

#### ფასს 9 - ფინანსური ინსტრუქტები

2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფასს 9 მიზნად ისახავს ჩანაცვლოს ბასს 39 - ფინანსური ინსტრუქტები: აღიარება და გაზომვა. ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მოიცავს შესწორებულ მითითებებს ფინანსური ინსტრუქტების სწორ კლასიფიკაციასა და გაზომვაზე. მათ შორის ფინანსური აქტივების გაუფასურების გამოანგარიშების, ახალ სავარაუდო სკრეიდიტო ზარალის მოდელს და ჰევირიგიბის ახალ საბუღალტრო მოთხოვნებს. ასევე მოიცავს IAS 39-ის მიხედვით ფინანსური აქტივების აღიარება-არ აღიარების მითითებებს. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე აღრე დანერგვაც.

#### ფასს 15 - შემთხვევალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 აყალიბებს ყოვლისმომცველ სტრუქტურას, რაც განსაზღვრავს თუ რამდენად, რა ღირებულებით და როდის უნდა აღიარდეს შემოსავალი. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩანაცვლებს შემოსავლების აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 - შემოსავლები და ბასს 11 - სამშენებლო კონტრაქტები. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტისათვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. შემოსავლების ახალი სტანდარტი შემოსავლების გამედავნების შესახებ, წარმოადგენს გაუმჯობესებულ მითითებებს ტრანზაქციებზე, რომლებიც სრულყოფილად არ იყო წარმოდგენილი. სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე აღრე დანერგვაც.

#### ფასს 16 - იჯარა

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვან არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარებისთვის. თუმცა, მოიჯარებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარებული ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულებების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ზარჯი და სამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშებაში.

სს გისო ნიკე პრეზიდენტი  
ფინანსური აგენტობის ახსნა-განვითარების უმცირესი  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისთვის  
თანხმის მოცემულია ლარში

შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.1 სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ფას 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადაროვნებია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფას 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანია აფასებს აღნიშნული ცვლილებების სავარაუდო გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4.2 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს: სალაროში არსებულ ნაღდ ფულს და ფულს მიმდინარე ანგარიშებსა და ანაბრებზე.

4.3 გაცემული სესხები

გაცემული სესხი წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. გაცემული სესხები თავდაპირებულად აღიარდება რეალური ღირებულებით (რომელიც მომხმარებელზე გაცემული სესხის თანხის ტოლია), პლუს სესხის გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები. სესხი შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები წარდგენილია ნეტო ღირებულებით, სესხების გაუფასურების რეზერვების გამოკლებით. გაცემული სესხის გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თანხის ამოღებას. გაცემული სესხის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის აჩვრიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება სრული შემოსავლების აჩვრიშებაში. როდესაც სესხი უძიედოა, ის ჩამოიწერება რეზერვის ანგარიშიდან. სარეზერვო ანგარიშიდან სესხი ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც მენეჯმენტი დარწმუნდება რომ მან გამოიყენა ყველა შესაძლებლობა სესხის თანხის ამოსაღებად და მას შემდეგ რაც კომპანია გაყიდის მის ხელთ არსებულ ყველა უზრუნველყოფას.

4.4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან აღმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშებო პერიოდზე მეტი ხნით გმოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივის შექმნასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შემნის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებლებს და შესაძლოა ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე სარემონტო (შეკვიდის) და შენახვის დანახარჯები ასახება სრული შემოსავლების ანგარიშებაში მათი გაწევის პერიოდების მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა წარმოებს მათი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურეობის ვადები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

აქტივების ჯგუფი	შეფასებული საექსპლუატაციო ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერები და საკომუნიკაციო მოწყობილობები	5-10 წელი
ავეჯი	7 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

**სს მისო ნიკე პრედიტი  
ფინანსური ანგარიშგების ასესა-განვითარებითი ზენიშვენი  
2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფლისტი  
თანხები მოცემულია ლარში**

---

**შენიშვნა 4 ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)**

**4.4 ძირითადი საშუალებები**

სასარგებლო მომსახურების ვადა, სალიკვიდაციო ღირებულება და ცენტრის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად, იმისათვის რომ შეფასდეს, მათი ღირებულება შეესაბამება თუ არა მათგან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ძირითადი საშუალების ჩამოწერა ხდება მისი გაყიდვისას, ან როდესაც მომავლი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება-ზარალი (გამოითვლება როგორც სხვაობა ჩამოწერიდან მიღებულ შემოსავლისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ წელს, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების გასვლა/ჩამოწერა.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის მენეჯმენტი განიხილავს ხომ არ არის რაიმე ინდიკატორები იმისა, რომ ძირითადი საშუალებების რომელიმე ელემენტი შესაძლოა გაუფასურებული იყოს. თუკი ასეთი ინდიკატორები არსებობს, შემდეგ ხდება აქტივის საბალანსო ღირებულებისა და მისი აღდენით ღირებულების (რომელიც არის აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უდიდესი ღირებულება) შედარება. თუკი აღმოჩნდება, რომ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდენით ღირებულებას, მაშინ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდენა ხდება მაშინ, როდესაც ჩანს, რომ გაუფასურება აღარ არსებობს ან შემცირებულია. გაუფასურების ზარალის აღდენა ჩაირთვება მოგება-ზარალის იმავე მუხლში, რომელშიც გაუფასურების ზარალის ხარვეზი აღიარდება. აღრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდენა ხდება ისეთნაირად, რომ ამ აღდენის შემდეგ აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ გადაჭარბოს მის იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც ექნებოდა აქტივის აღრე რომ არ ყოფილიყო გაუფასურების ზარალი აღიარებული.

**4.5 არამატერიალური აქტივები**

შემქინილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითონირებულებით, ამორტიზაციის და გაუფასურებით გამოწეული ზარალის გამოკლებით. შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შექნასა და სამუშაო მდგრამარეობაში მოყვანისათვის. ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრიფით მეოთხის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა 10 წელია.

**4.6 მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია კანონმდებლობასთან შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა პერიოდის ბოლოს საქართველოში. მოგების გადასახადის ხარვეზი მოიცავს მიმდინარე გადასახადებს და ასახულია მოგება ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი აისახებიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, ვინაიდნ ისინი დაკავშირებული არიან გარიგებებთან, რომლებიც, იგივე ან სხვა პერიოდით, ასევე ასახული არიან უშუალოდ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

მიმდინარე გადასახადი წარმოადგენს იმ გადასახდელ თანხას, რომლის გადახდა ან დაბრუნება უნდა მოხდეს საგადასახადო ორგანოებთან მიმდინარე და გასული პერიოდების განმავლობაში დასბეურ მოგებასა თუ ზარალთან დაკავშირებით. დასბეური მოგება ან ზარალი კერძობა შეფასებებს თუ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია საგადასახადო დეკლარაციის შევსებამდე. გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება საბალანსო ვალდებულების მეთოდის გამოყენებით. აქტივების საგადასახადო (დასაბეურ) ბაზასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებას შორის შველა დროებით განსხვავებაზე გადავადებული მოგების გადასახადის განსაზღვრა ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთებით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეური მოგება, რომლის საპრისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება.

**სს გისო ნიკე პრედიტი  
ფინანსური ანგარიშგების ასენა-განვალტებითი ზენიშვები  
